

დამტკიცებულია:

ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
„საზოგადოება ცოდნის“ საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორის 2017 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №12

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ფარმაცევტის თანაშემწე

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას 47, 2910,

ტელეფონი +995322990035; +995322997112

ვებ-გვერდი: www.tsodna.edu.ge

ელ-ფოსტა: info@tsodns.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ნაილი შენგელიძე

- I. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ფარმაცევტის თანაშემწე
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:**09103-3
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აფთიაქში, ფარმაცევტულ ბაზაში სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.
- VII. **მიზანი:**
პროგრამის მიზანია ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული კადრების მომზადება, რომელთა მოვალეობაა: ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების-განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის გაცემის პროცესში მონაწილეობა, ნაშთების პერიოდული კონტროლი, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოება და რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადება.
- VIII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- პროდუქციის ვიზუალურად შემოწმება, იგივეობის, სასაქონლო ნიშნებისა და რაოდენობის დადგენა, ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება-მარკირება;
 - რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება;
 - მომხმარებელთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპების გათვალისწინება;
 - მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შეგროვება-დათვალიერება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
 - ანგარიშის მომზადება-ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;
 - ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვა.
- IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**
საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად, სავალდებულო პროფესიულ მოდულს და არჩევით მოდულებს.

მოცემულია ზოგადი 5 მოდული 15 ჯამური კრედიტების რაოდენობით, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი 15 მოდული 65 ჯამური კრედიტების რაოდენობით, არჩევითი 4 მოდული 15 ჯამური კრედიტების რაოდენობით, სულ 95 კრედიტი.

პროგრამის ხანგრძლივობა ქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 95 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 125 კრედიტი (ქართული ენის მოდულები იხ. დანართი N23 N24).

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

X. სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა-ფარმაცევტის თანაშემწე	2	ძირითადი ფარმაკოლოგიური ჯგუფები	4
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ფარმაცევტის თანაშემწე	12	შეფუთვის სპეციალური სახეები	3
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	პრაქტიკული პროექტი-ფარმაცევტის თანაშემწე	6	სამკურნალო მცენარეული ნედლეულის იდენტიფიკაცია	4
მეწარმეობა 2	2	რეცეპტში მოცემული ინფორმაციის წაკითხვა/განმარტება	2	მზაწამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები	4
უცხოური ენა (ინგლისური)	5	ანგარიშის წარდგენა	3		
		სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება	5		
		სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა	4		
		მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება	3		

		მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა	4		
		მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	4		
		პროდუქციის მიღება- განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი	5		
		მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	4		
		მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	3		
		მომხმარებლისთვის მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა	3		
		მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება	5		
სულ:	15	სულ:	65	სულ:	15

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. სპეციალურისაგანმანათლებლოსაჭიროების (სსსმ) დაშეზღუდულიშესაძლებლობებისმქონე (შშმ) პროფესიულსტუდენტებისსწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს მიენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლოკვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XIV. პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც მემორანდუმის მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

1. შპს „ნეოფარმი“

დანართი №1 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი №2 - სასწავლო გეგმა

სავალდებულო ზოგადი მოდულები:

დანართი №3- უცხოურიენა- ინგლისური

დანართი №4- მეწარმეობა 2

დანართი №5- ინფორმაციულიწიგნიერება 1

დანართი №6 - რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი №7 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი №23 - ქართული ენა A2

დანართი №24 - ქართული ენა B1

სავალდებულო პროფესიული მოდულები

დანართი №8 - გაცნობითი პრაქტიკა-ფარმაცევტის თანაშემწე

დანართი №9 - საწარმოო პრაქტიკა-ფარმაცევტის თანაშემწე

დანართი №10 - პრაქტიკული პროექტი-ფარმაცევტის თანაშემწე

დანართი №11 - რეცეპტში მოცემული ინფორმაციის წაკითხვა/განმარტება

დანართი №12 - ანგარიშის წარდგენა

დანართი №13 - სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება

- დანართი №14 - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა
- დანართი №15 - მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება
- დანართი №16 - მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა
- დანართი №17 - მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა
- დანართი №18 - პროდუქციის მიღება- განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი
- დანართი №19 - მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში
- დანართი №20 - მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა
- დანართი №21 - მომხმარებლისთვის მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა
- დანართი №22 - მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება

არჩევითი მოდულები

- დანართი №25 - ძირითადი ფარმაკოლოგიური ჯგუფები
- ვდანართი №26 - შეფუთვის სპეციალური სახეები
- დანართი №27 - სამკურნალო მცენარეული ნედლეულის იდენტიფიკაცია
- დანართი №28 - მზაწამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები